



აგროსერვისის ცენტრის გაზეთი

გაყინული

WWW.AGROSC.GE

№ 3 (9). აგვისტო. 2014 წელი

აგროსერვისის ცენტრის სამოქმედო ახალი ფართობი



2014 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩაქვეში არსებული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალანსზე არსებული 10 ჰა-მდე 2012 წელს გაშენებული საადრეო ციტრუსის ნარგავების მეურნეობა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისის ცენტრს“ გადამოცემა. ამ მოვლენაში უჩვეულო და გასაკუთრებული არაფერია, თუმცა საზოგადოების ნაწილში ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რამ გამოიწვია ხელისუფლების ასეთი ნაბიჯი და რატომ შემოუერთეს 2 წლის წინ დიდი რუდუნიებითა და ძალისხმევით შექმნილი მეურნეობა აგროსერვისის ცენტრს. ამ

კითხვაზე კომპეტენტური პასუხის მისაღებად ჩვენ შევხვდით აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს:

აბთაძე მისიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე: „ეს გადაწყვეტილება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღო, როგორც ჩანს, უწყვეტის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალია, რომ ორი ერთმანეთის მეზობლად მდებარე, თითქმის აბსოლუტურად ერთნაირი დანიშნულების საადრეო და უხვმოსავლიანი ციტრუსების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობები ერთიან მმართველობაში გაერთიანდნენ. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად გადავიღებ მენეჯმენტს. თუმცა აქ იმასაც ვერ ავუვლით გვერდს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არჩევანი გაკეთდა ჩვენს აგროსერვისის ცენტრზე, როგორ უკვე აღიარებულ, ნარმატივულ და რეალურ შედეგებზე ორიენტირებულ ორგანიზაციაზე, რაც ერთობ სასაიმედოა, საპატიოც და საამაყოც. თუმცა გაზრდილი სამუშაო ფრონტი, მოცულობა და ორი ობიექტის შერწყმასთან დაკავშირებული ლოგიკური პრობლემები აგროსერვისის ცენტრის კოლექტივისგან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს და გაზრდილ პასუხისმგებლობასთანაც დაკავშირებული. თუმცა ამ ორგანიზაციამ ბოლო დროს განხორციელებული ნარმატივული პროექტებით, სიახლეთა გაბედული დანერგვით, მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აქ მუშაკების მაღალი პროფესიონალიზმითა და საკმაოდ ეფექტური მენეჯმენტის მეშვეობით სამართლიანად მოიპოვა ნდობაც და აღიარებაც. ასე რომ, თავად ეს ფაქტი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კიდევ ხელისუფლების, უწყვეტის ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობის მაღალ ხარისხს. ჩვენც არ გვეპარება იმაში ეჭვი, რომ აგროსერვისის ცენტრს აქვს იმის რესურსი, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, რომ ხარჯების ოპტიმიზაციით, არსებული რესურსებისა და რეზერვების სწორად და ეფექტურად გამოყენებით შეძლოს დასახული ამოცანის ნარმატივით გადაჭრა. მთავარი მიზანია: რაც შეიძლება მალე გაემართოს წელში ქართული სოფელი და მთლიანად აგროსექტორი. აქ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი პროექტებისა და ნოვაციების საინფორმაციო უზრუნველყოფას, ფერმერთა სწავლება- მომზადებას, იმ მოთხოვნების შესრულებას რასაც თანამედროვე მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო სექტორს და ზოგადად სასურსათო ნარმოებს უყენებს. ამ გამოწვევებთან ჩვენ უფრო ახლოს ახლახან ხელმოწერილმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამაც დაგვაყენა და თუ მართლა გვსურს დავეკვიდრეთ ბაზარზე, ვანარმოოთ მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი და თანაც საჭირო რაოდენობის პროდუქცია, მაშინ ახლებურად მუშაობაც უნდა ვისწავლოთ და ქვეყანას მოაზროვნე, განათლებული და შედეგებზე ორიენტირებული ფერმერთა ახალი თაობა მოვუშვაოთ. ეს რთული და საპასუხისმგებლო პროცესია, რომლის საკმაოდ დიდი ტვირთიც აგროსერვისის ცენტრს აკისრია, რასაც ჯერ-ჯერობით ნარმატივულად ასრულებს. ასე რომ, იმედია ამ დიდ ნდობას აგროსერვისის ცენტრი ნარმატივით გაართმევს თავს. რაც შეეხება შემოერთებული ფრონტის მასზე ორი წლის მანძილზე დიდი სამუშაო იქნა ჩატარებული. აქ დარგულია იაპონური ჯიშის საადრეო ციტრუსი, რომელმაც კარგად გაიხარა და შარშან ზოგიერთმა ნერგმა ნაყოფიც კი მოგვცა. რაც შეეხება შერწყმის ორგანიზაციულ მხარეს კითხვის ნიშანი არც აქ დარჩება, საგარაუდოდ აქ მომუშავე პერსონალიდან ნაწილის შემდგომში დასაქმება მოხერხდება. ჩვენი ვარაუდით ამ ახალი ობიექტის შენახვა-მოვლის ხარჯები მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოფილი იქნება, ხოლო მომავალი წლიდან როგორც ერთიანი სამეურნეო ერთეული ახალი ბიუჯეტითა და პროგრამით ვიხელმძღვანელებთ. ასე რომ, აგროსერვისის ცენტრი ფართოვდება, ძლიერდება, ახალ სიმძლავრეებზე გადის და თანდათან აგროსიახლეებისა და ნოვაციების გამოცდა- დანერგვის ნამდვილ ცენტრად, ჯიშების გამოცდისა და ფერმერთა სწავლების ერთგვარ პოლიგონად ყალიბდება.“

სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების პრეზენტაცია

2014 წლის 4 აგვისტოს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგის ექვსი თვის შედეგების საჯარო განხილვა ჩატარდა. შეხვედრას სამინისტროს ხელმძღვანელები, სპეციალისტები, აგროსერვისის ცენტრის ხელმძღვანელობა, რეგიონალური რგოლების ნარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ნარმომადგენლები დაესწრნენ. პრეზენტაციის ესწრებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საგურამოს კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, აგრონომი-ავტორი ცნობილი მეცნიერი ლევან უჯვალაშვილი, რომელიც ბათუმში აგროსერვისის ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში იმყოფებოდა. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით მოგვითხრობს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი მამუკა თურმანიძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მრავალდარგობრივია, რასაც განაპირობებს რეგიონის კლიმატურ-ნივთადადური პირობები, ამიტომაც სხვადასხვა დარგების განვითარებისა და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკა დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ სამინისტროს მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა ხელი შეუწყოს ადგილობრივი ნარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების მიზნით.



2014 წელი სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დატვირთული წელია, ვინაიდან სამინისტრო „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში ახორციელებს 6 ქვეპროგრამას. ჯამში მისი ბიუჯეტი შეადგენს 2 909251 ლარს, სამინისტრომ განხორციელებულ და მიმდინარე ქვეპროგრამების ეფექტურობის შესწავლის მიზნით, 6 თვის საანგარიშო პერიოდისათვის თითოეულ ქვეპროგრამაზე სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფებმა, ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სპეციალისტებთან ერთად, რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტსა და ქ. ბათუმში შემოერთებულ სოფლებში განახორციელეს ჩვენი პროგრამებით მოსარგებლე ფერმერთან გასვლები, მომზადდა მონიტორინგის მასალები, გაფორმდა მონიტორინგის აქტები, გადაღებული იქნა ფოტო და ვიდეო მასალები რის საფუძველზეც, დაიღო შესაბამისი დასკვნებიც.

დასასრული მე-2 გვერდზე

აგროტური აგროსერვისის ცენტრში

ივლისის ბოლოს ქობულეთისა და ბათუმის შემოერთებული ტერიტორიების, ასევე ქედის, ხელვაჩაურის, სოფლის საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილების ნარმომადგენლებმა 70 ფერმერთან ერთად აგროსერვისის ცენტრის გვარამოს მუნიციპალიტეტის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში მონახულეს. მათ ადგილზე დაათვალიერეს უკვე მსხმოიარობაში შესული 1 წლის ვაზისა და ხეხილის ელიტარული და ტრადიციული ჯიშები. გარდა ამისა, ფერმერები აგროსერვისის ცენტრის ხილის საშრობი მინი საწარმოსა და სამაცივრე დანადგარების ფუნქციონირებას, ასევე სერვისით სარგებლობის პირობებსა და უპირატესობებს გაეცნენ. აგროტურის მიზანი ფერმერებისთვის აგროსერვისის ცენტრის იმ სიახლეებთან და სერვისების გაცნობაა, რომელთა გამოყენებაც მათ მეურნეობის განვითარებაში დაეხმარებათ. გვარამოს მუნიციპალიტეტის ვაზისა და ხეხილის სანერგეში, რომელიც ფერმერებმა დაათვალიერეს 7000 ათას ძირამდე ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშებია განთავსებული. ორი წლის შემდეგ ორგანიზაცია არსებული ჯიშების გამრავლებასა და ფერმერებისთვის თვითღირებულების ფასად მინოდებას გეგმავს.



2

პრესტური აგროსერვისის ცენტრში

ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობას მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ნარმომადგენლები ესტუმრნენ.



2

აგროსერვისის ცენტრმა „ღირსეული სიგარის“ განვითარებას უმასპინძლა

საქმიანი ურთიერთობები გაღრმავდება და ფერმერები საკონსულტაციო ცენტრებში მეტ დახმარებას მიიღებენ.



3

მკათათვია – პური ყველაფრის თავია

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის აუცილებელია საკუთარი რესურსების და რეზერვების სრული ამოქმედება, ეფექტურად გამოყენება.



3

სამართალო მარცვლეულის ერთ-ერთი საგზავლო!

ხორბალი საქართველოს უძველესი კულტურაა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-VI-ე ათასწლეულში მოჰყავდათ.



4

კონსერვის შისაქლო, გარაბი გატარია იჯდეს

საოჯახო პირობებში კონსერვის დამზადებისას მტკიცედ დაეიცავთ სანიტარული წესები.



პენსიონის აგროსერვის ცენტრის



31 ივლისს, აგროსერვის ცენტრის გვარა-ხუცუნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობამ პრესტურის ფარგლებში მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლებს უმასპინძლა. ამ მასშტაბურ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივი და ცენტრალური მედიის, ასევე ხელგაყურისა და ქობულეთის გამგებობის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს წარმომადგენლებმა. პრესტურის მონაწილეობა ადგილზე წახვდა დათვალეობის უკვე მსხვილიარობაში შესული ელიტარული და ტრადიციული ვიშები. მუშაობის პროცესში გაეცნენ აგროსერვის ცენტრის ხილის საშრობის სანარმოსა და სამაცივრე მეურნეობის ფუნქციონირებას. ჟურნალისტებმა მონაწილეობა ვაშლის ჩირის დამზადების პროცესსა და საადრეო ვიშის ყურძნის „პრინას“ დაკრეფის პროცესში მიიღეს. ახლო მომავალში სწორედ იტალიური წარმოშობის, ქართული წარმოების „პრინას“, „ფრანგული“, „კარდინალი“ და სხვა საინტერესო ვიშები ჩაანაცვლებს მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილ ანალოგებს. ამ ვიშის ყურძნის მოსავლის აღება სწორედ ტურისტული სეზონის პიკზე მოხდება, ამით კი ქვეყანაც იხიერებს, ტურისტულ-დამსვენებელიც და რაც მთავარია, ჩვენებურ სოფელს, ფერმერსა და მეწარმეს სერიოზული შემოსავლის წყარო და აგროსექტორში მკრივად დაფუძნება - დასაქმების საფუძვლიანი მოტივაციაც გაუზრდობა.

პრესტურის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს საკმაოდ მაღალ დონეზე მონყობილ ნიადაგის აგროქიმიური კვლევისა და მსხვ. რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სერვისების შესახებ, დეტალურად გაეცნენ ამ ნოვაციების უპირატესობებს და სასიკეთო შედეგებს. მათ ახსნა-განმარტებებსა და კონსულტაციებს აგროსერვის ცენტრის მაღალ-მკვალიფიციური სპეციალისტები უწევდნენ. პრესტურის დასვენების ნაწილში ჟურნალისტებისთვის აგროსერვის ცენტრში დღემდე ჩატარებულ სამუშაოების, პროექტებისა და სამომავლო დაგეგმილი სიახლეების შესახებ პრეზენტაცია გაიმართა, გარდა ამისა მათ ENPAID-ის პროექტის ფარგლებში ფერმერთათვის მომზადებულ ვიდეო-გაკვეთილსაც უყურეს. ვიდეო-გაკვეთილი თევზის მოშენებით დაკავებულ ფერმერებს საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და სამეურნეო შედეგების ამაღლებაში დაეხმარება.

აგროსერვის ცენტრმა „ღირსეული სიბერეს“ განეფიციარებს უმასპინძლა

2014 წლის 7 აგვისტოს აგროსერვის ცენტრის გვარა-ხუცუნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობას ქობულეთში არსებული ასოციაცია „ღირსეული სიბერეს“ პროექტ „მცირე ბიზნესის ფორმირება და მართვა“ მონაწილეები ეწვივნენ.

მათ მასპინძლობას და მეგზურობას აგროსერვის ცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე და სანერგე მეურნეობის სპეციალისტები უწევდნენ. აგროსერვის ცენტრის მონაწილეთა უმრავლესობა ადგილობრივი ფერმერები და სამომავლოდ, აგროსექტორში მიკრო-ბიზნეს საქმიანობის დაწყების მსურველები გახლდნენ. ამიტომაც იყო აგროსერვის ცენტრის უკვე მიღწეული შედეგებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი, მედია საშუალებებით უკვე გაუქმებული პროექტების მიმართ ესოდენ დიდი ინტერესი. თუმცა როგორც იტყვიან ხოლმე, ასევე გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობდა და როგორც თავად აგროსერვის ცენტრის მონაწილეები აცხადებდნენ ნანახსა და განცდილსა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. სტუმრებმა საკუთარი ხელით დაკრიფეს ფრანგული წარმოშობის „კარდინალი“-ს ვიშის სასუფრე ყურძენი, ხახვს მსხმიარე სასუფრე და საღვინე ვიშის ყურძენი და ხეხილის ნარგავები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უკვე მსხვილიარე ვაშლის სხვადასხვა ცნობილი და პოპულარული ვიშის ორწლიანმა ნარგავებმა, რომლებიც სპეციალისტების აზრით საკმაოდ მაღალხარისხისა და კონკურენტუნარიანი პროდუქტის იძლევა. ფერმერებმა დაათვალიერეს ხილ-კენკროვანებისაგან ჩირის წარმოების თანამედროვე მონაწილეობა, ზოგიერთ ოპერაციაში თავდაც მიიღეს მონაწილეობა და რაც ნიშნავს, მზა

მართვისათვის უფრო მეტ დახმარებას მიიღებენ. აგროსერვის ბოლოს ასოციაცია „ღირსეული სიბერეს“ ხელმძღვანელმა ნანა კალანდამ მადლობას თან ერთად აგროსერვის ცენტრთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილი გამოთქვა, რასაც აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელობისაგან შეზღვევით მხარდაჭერა მოჰყვა, უფრო მეტიც, გოჩა ბერიძემ სამომავლოდ, ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის გაფორმების აუცილებლობაზეც ისაუბრა, რაც სასი-



კეთო პროცესების და რეალური შედეგების მიღწევას, მეტ მოტივაციას, სტიმულირებას და რეალურ საფუძველს შეუქმნის. თანაც ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება დასაქმების დიდი პოტენციალი რესურსების მქონე აგროსექტორში ასაკოვანი, თუმცა დიდი გამოცდილების, ცოდნისა და შრომითი რესურსის მქონე ადამიანების რაც შეიძლება სწრაფი და ეფექტური ჩართვის უზრუნველყოფა.

მამაძე პირველი - ინდივიდუალური მენარმე, ფერმერი:

„საოცრებაა რომ ვნახე არ ვმალავ მე ვერც კი წარმოემდგინა რომ მსგავსი რამის გაკეთება ქობულეთში იყო შესაძლებელი. მე თვითონ სოფელ გვარადან ვარ და საკმაო რაოდენობის მიწის ფართობსაც ვვლავ, სადაც ტრადიციულად მანდარინი და თხილი მაქვს გაშენებული. ვიცოდი და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამჟამად არსებული მანდარინის პერსპექტივა ბუნდოვანი იყო, იგი აშკარად ვეღარ მასუხობდა დროის მოთხოვნებს და დახარჯულ შრომასაც მიზერულად ვეღარ ანაზღაურებდა. როცა ახალ საადრეო და მაღალხარისხიან, საბაზრო კონკურენტუნარიან ვიშებზე ალაპარაკდნენ, მეც ჩაქევი ნარგავებზე გაჩნდა, არ დავმალავ, მაგრამ სოფლის მკვიდრის გულში იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა, მაგრამ მეც რაც აქ საადრეო დიდებული ხარისხის ყურძენი ვნახე და დავაგვიმოქმედი, მიხვდი, რომ არაა შორს ის დღე, როცა მინაზე შრომას ნამდვილად დაეძგება მე ამ დღეს როგორც სოფლის მეურნე, მომავლის პერსპექტივას სულ სხვა, იმედოვნით შევხედე და ახლა ნამდვილად და-

ვიჯერე, რომ სოფელზე ზრუნვა და მის წელში გამართვაზე მეზობა არაა მოჩვენებითი და იგი რეალურ შედეგებზე გათვლილი“.

ამირან მასაძე - ფერმერი, სტაჟიანი მეფუტკრე „თუ ეს მიდგომები შეუქცევდად გაგრძელდება, და მინაზე შრომას ფასი დაეძგება, დასაქმების პრობლემა მოგვარდება და დოვლათიც შეიქმნება. რაც ვნახე, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. ათობით პერსპექტიული ვიშის ხილი, სპეციალურად ისე შერჩეული, რომ ბაზარზე იმპორტულს გაუწიოს კონკურენცია, სწავლება-მომზადების პროგრამები, ნერგებისა თუ სერვისების ხელმისაწვდომობა მთავარი სტიმული გლუბკაცისათვის. მე როგორც მეციტრუსე და მეფუტკრე, პირველ რიგში იმ ციტრუსისა და ხილის ვიშებითა ვარ დაინტერესებული, რომელიც ჩვენი ზონის სოფლებს ჩიხიდან გამოიყვანს. მე ვარ სოფელ ხუცუნისა და ჩვენს სოფელში ყველაზე მეტად ციტრუსი მოდიოდა, ხალხიც ამაზე ძირითადად ორიენტირებული და რაოდენ დასახანია, რომ დღეს ბაღები იჩქება და მისი ჩანაცვლების ეფექტიანი ალტერნატივა არ ჩანდა. ახლა კი როგორც ჩანს გამოჩნდა და შედეგებიც მალე დადგება. ამ ეტაპზე მე 20-მდე თანამედროვე სკით არსებულს შეცვლას ვაპირებ. მის უპირატესობაზე ბევრი მსმენია და ვფიქრობ ამით არაერთ პრობლემას მოვაგვარებ. აგროსერვის ცენტრის სახით მეც საიმედო მრჩეველი და პარტნიორი გამოიჩნდა“.

ჯონი ბოლქვაძე - ფერმერი

„მე ნამდვილად მიმანია, რომ დღეისათვის ჩვენში ფერმერული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა - მეურნის მოუზადებლობა, სუსტი ინფორმაციული უზრუნველყოფა და გამოწვევებთან თუ პრობლემებთან მისი მტკიცებულება ამიტომაც მოვიწვევ, რომ ფერმერების მოზადებით, სწავლებით, ხელშეწყობით უდიდესი საქმე კეთდება. წლების მანძილზე მოჩვენებითა და ფასადურმა ზრუნვამ სოფელზე და აგროსექტორზე თუ რა შედეგები მოგვტანა თავად ჭე-



ჯონი ბოლქვაძე

დავით. ახლა ნამდვილად დადგა დრო სოფლის მეურნეობა ახლებურად მოვანყობ. ჩვენი ფერმერები სასურველ ვადებში ვერ გაგულენ საჭირო დონეზე თუ ხელოვნულად მათ სწავლებაზე, მათ რიგებში თანამედროვე აგროცოდნის შეტანაზე, მოზადებაზე და იმ უნარების ჩამოყალიბებაზე არ იზრუნა, რასაც ისინი თითქმის ყოველდღიურად აწყობდნენ. ჩემი რწმენით, აგროსექტორის სხვა დარგებისგან იმით გამოირჩევა, რომ აქ მეწარმეს ერთდროულად ყველა არსებულ პრობლემასა და გამოწვევასთან უნეცს შეხიდება და თუ სახელმწიფო არ დაეხმარა მას ამ უნარჩვევების შექმნაში, ცოდნის მიღებაში და ეს არ აქცია უპირველეს სახელმწიფოებრივ საქმედ, არაფერი გამოვა. განა ყველაზე დიდი და ძლიერი სახელმწიფოს - აშშ-ს სიძლიერის საფუძველი ძლიერი ფერმერული მეურნეობები არაა, ხოდა ჩვენც ძლიერი გლუბკაცი, ფერმერი და ღონიერი სოფელი გვჭირდება. ძლიერი სოფელი ხომ ძლიერი სახელმწიფოა, ამიტომაც ვაფასებ და მივესალმები იმ დიდ საქმეს, რასაც აგროსერვის ცენტრი აკეთებს“.



ვაკა ძირკვაძე

პროდუქციის ხარისხით და მისი სასაქონლო სახით აღფრთოვანებულები დარჩნენ. რაც მთავარია ამ სიახლეების ხილვისას ნათლად დაინახეს მათთვის სასურველი სამომავლო მიმართულებები, შესაძლებლობები და პერსპექტივები. სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს ხილის მოკურად გაყენის სამაცივრე მეურნეობაც და გაეცნენ ნიადაგის აგროქიმიური ანალიზისა და ფურის ხელოვნური განაყოფიერების უკვე არსებულ სერვისებს, ფერმერთა სწავლების, კონსულტირებისა და მეთოდური დახმარების შესაძლებლობებს. აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელობამ მონაწილეებს მეთოდური დახმარე სახელმძღვანელოები, მცენარეთა და ცხოველთა მოვლა-მოშენების ბრიშურ-ინსტრუქციები და რეკომენდაციები გადასცა. ითქვა ისიც, რომ სამომავლოდ კონტაქტების, საქმიანი ურთიერთობების უფრო გაღრმავდება და ჩვენი ფერმერები საკონსულტაციო ცენტრებში კონკრეტული აგროსაქმიანობის წარმატებით წარ-



ამირან მასაძე

სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების პრეზენტაცია

დასარსული, დასაწყისი პირველ გვერდზე

სამინისტროს ქვეპროგრამის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა ფარგლებში მიმდინარე წლის გაზაფხულზე, რეგიონის ფერმერებს გადაეცათ 360 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი, ამათგან: 250 ერთეული ნიადაგის დამამუშავებელი აგროტექნიკით, 80 ერთეული სათიბელათი, 20 ერთეული კარტოფილის სარგავითა და 10 ერთეული მულჩერით, ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო რომ, ტექნიკა გამართულია და წარმატებით განხორციელდა საგაზაფხულო სამუშაოები, ფერმერები კმაყოფილებას გამოხატავენ და შემსუბუქებულია ხელით შრომა, გამოიხიბნენ, რომ უკვე მიმდინარე წელს გადაცემული მოტობლოკის მიერ შესრულებული არანაკლებ 15-17 ჰა ხვნის, გაფხვიერების, ცვლევის, და ა. შ. სამუშაოები.

მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის ფარგლებში, მიმდინარე წელს რეგიონის ფერმერებზე მინოდებული იქნება 27 250 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი, მოცვის 13 750 ძირი გაზაფხულზე შემოტანილი და დარიგებული იქნა 7000 ძირი, კაკლის 8000 ძირი, რომელიც ასევე

გაზაფხულზე დარიგდა 4000 ძირის ოდენობით, ამ დროისათვის მინოდებულია აქტივობის (კვივის) 2000 ძირი და სუბტროპიკული ხურმის 3500 ძირი ნერგი, საბოლოო ჯამში გაფანტული ნარგავების სახით რეგიონის მასშტაბით გაშენდება მოცვი 2.5 ჰა-ზე, კაკალი 16 ჰა-ზე, აქტივობა (კვივი) 3.2 ჰა-ზე და სუბტროპიკული ხურმა 10 ჰა-ზე, ნერგების გახარების მაჩვენებელი მაღალია, თუმცა მონიტორინგის ვეჯუფებს ჰქონდათ შენიშვნები ფერმერთან აგროტექნიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით. სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის კუთხით სამინისტროს მიერ რეგიონის ფერმერებზე გადაცემული იქნა 250 ერთეული 50 კვ.მ-იანი სათბურები და დღეის მდგომარეობით აწყობილია 30 სასათბურე კონსტრუქცია და 1500 კვ.მ-ზე გაფანტული სათბურების სახით მიმდინარეობს ბოსტნეულის წარმოება, ხოლო წლის ბოლოსათვის 250-ზე სათბურის კონსტრუქციის დამონტაჟების შედეგად შესაძლებელია 1.25 ჰა სათბურის მოწყობა, რაც სწორი ექსპლუატაციის პირობებში, შესაძლებელს გახდის წლის განმავლობაში ვანარმოვით 200 დან 300 ტონა გათბობაზე ორიენტირებული ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი, წინაკა, ზაფხური) და 80-დან 150 ტონამდე სხვადასხვა სახის

მწვანილი და ბოსტნეული.

მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს გადაეცემა თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული 30 ცალი თავლის საწინა-ციხრები, ასევე შემოტანილია 964 ერთეული პოლისტიროლის მასალისაგან დამზადებული ორსართულიანი და დაბალანტის ტიპის სკები. ამ დროისათვის გადაცემულია 500 ერთეულზე მეტი მონიტორინგისა, ჩვენი სპეციალისტების მიერ შეისწავლებოდა როგორც გასულ, ასევე მიმდინარე წელს გადაცემული სკები, მეფუტკრე ფერმერების განცხადებით, აღნიშნულ სკები ტემპერატურული რეჟიმისა და ფუტკრის მავნებელმკვამდეა და მისი კონტროლის თვალსაზრისით საუკეთესოა.

გასულ წელს ჩატარებულმა ნიადაგის კვლევებმა გვიჩვენა რომ აჭარის შავიზღვისპირა სუბტროპიკულ ზონაში და ნაწილობრივ კონტინენტალური ზონის ნიადაგები ძლიერ მჟავა, ნიადაგების მჟავიანობის გასანეიტრალებლად და სოფლის მეურნეობის ნორმალური წარმოების უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიმდინარე წელს შემოაქვს 8000 ტონა ნიადაგის საუკეთესო მელიორანტი - შაქრის ქაჩრის ნარჩენი „დეფეკაციური ტალახი“. ბოლო სამ ათწლეულზე მეტია, რაც ასეთი მასშტაბური ღონის-

ძიება არ განხორციელებულა. ამჟამად შემოტანილია 6500 ტონაზე მეტი დეფეკატი და შესაბამისად, განოციერებულია 650 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საგარეულო. მიმდინარე წელს სამინისტროს ქვეპროგრამის - სასოფლო-სამეურნეო კომპარტივების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, იგეგმება რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კომპარტივებს გაენიოს მეთოდური და პრეტიკული დახმარება. კერძოდ, შერჩეულ კომპარტივებში მოხდება სამრწველო ბაღების გაშენება, მანდარინის ნაყოფის მოხილური დამკალიბრებელი დანადგარების და თხილის გამრჩევი მოხილური დანადგარის შესყიდვა, რომლებიც გადაეცემათ სასოფლო-სამეურნეო კომპარტივებს. საბოლოო ჯამში, სამინისტროს მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ პროგრამის „ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე ქვეპროგრამები შემუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდება და იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც პროგრამების განხორციელებისას ან მონიტორინგის დროს წარმოიჩინა, სამინისტრო მომავალი წლის მიზნობრივ პროგრამებში აუცილებლად გაითვალისწინებს.

მკათათხეა - პური ყვავილობის თაზია

საქართველოში მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დაიწყო. ტრადიციულად, ბირგულად ქერს იღებენ. იგი შედარებით ადრე მწიფდება და უფრო მთიან ზონაშია გაგრცელებული, თუმცა, ბოლო დროს ამ კულტურაზე მოთხოვნილება მკვეთრად გაზრდილი და დიდ ფართობებზე დაბლობ ზონაშიც ითესება.



ჩვენს ფერმერებს წლებს ერთობ უჩვეულო მკა ელით, ხშირი გვალვების გამო, საგარეოდ, მოსავალი წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო მწირი იქნება. ასეთი მდგომარეობა მარტო ჩვენთან არაა, ხორბლის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყნებშიც შედარებით ნაკლებ მოსავალს ვარაუდობენ, რაც საბოლოო ჯამში შესაძლოა ხორბლეულის ფასზე მკვეთრად აისახოს. ექსპერტების ვარაუდით, მარცვლეულის უმთავრესი მიმწოდებლები აშშ და კანადა წელს მარცვლეულთან შედარებით 20-25%-ით ნაკლებ მოსავალს მოიქიან, კარგი მდგომარეობა არც უკრაინაშია და არც მეზობელ აზერბაიჯანში, შედარებით უკეთესი სიტუაცია ყაზახეთს, ეგვიპტესა და რუსეთს აქვს, თუმცა ხორბლის მსოფლიო ბაზარზე ფასების მნიშვნელოვან ზრდაზე გავლენას ვერ მოახდენენ. ყველაფერი ამის მიზეზი გლობალური დათბობა და ხშირი გვალვებია, თანაც, ყოველწლიურად მოხმარების მოცულობებიც იზრდება, რაც ბიოსაწვავში მარცვლეულის მზარდ გამოყენებასთანა დაკავშირებული და შესაბამისად - მარცვლეულით უზრუნველყოფა სულ უფრო პრობლემატური ხდება. ამიტომაცაა აუცილებელი საკუთარი რესურსების და რეზერვების სრული ამოქმედება, ეფექტურად გამოყენება და საბოლოო ჯამში - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

შტაბებს იძენს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც სახნავ-სათესი ფართობების რაოდენობა ამოუწურავი, ამიტომაც აქცენტი მოსავლიანობის გაზრდაზეა აღებული. საგულისხმოა, რომ ხორბლის საშუალო ტარო მოსავლიანობით საქართველო აშკარად ვერ დაიკვეხნის. ბოლო ოცი წლის მაჩვენებლებით ჩვენს ქვეყანაში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა შექტარზე 1.15 ტონაა. ამას მრავალი მიზეზი აქვს, ერთ-ერთი მათგანია მაღალხარისხიანი სათესლე მასალის პრობლემა. ქვეყანაში მოქმედი ერთადერთი ფირმა „ლომთავრა“-ს ახალი და განახლებული ჯიშების მარცვლეულის სათესლე მასალის სასოფლო-სამეურნეო სანარმო, ჩვენი ფერმერების მოთხოვნების 10%- აც კი ვერ აკმაყოფილებს, დანარჩენი 90% უცხოეთიდან შემოდის, ან ადგილზე მზადდება: იგუსლის მება ფერმერის მიერ მონეული მოსავლის უკან დაბრუნება, რაც წლების მანძილზე გრძელდება და აგრონომების მიხედვით დაუშვებელია, რადგანაც 4-5 რეპროდუქციის თესლს უკვე აღარც ჯიშური თვისებები აქვს, აღარც სიმინდე და სასოქონლო ხარისხი. ამასთან ერთად, ზიანდება მიწის სტრუქტურა და შედეგად შესაბამისია.

მაველ 20 წელიწადში ეტაპობრივად გაიზრდება ფასებიც. ხორბალზე - 66%-ით, სიმინდზე - 37%-ით, სწორედ ამიტომ დგას ასე მწვავედ დღის წესრიგში მარცვლეულისა და სხვა საკვები კულტურების მოსავლიანობის ზრდა. ისიც საგულისხმოა, რომ არც მეცნიერების შესაძლებლობებია ამოუწურავი. ბიოლოგიურად მცენარეს რაღაც რესურსი აუცილებლად აქვს და იმის იქით წარმოების გაზრდა შეუძლებელია. თუ ჩვენში შექტარზე საშუალოდ 1.15 ტონა ხორბალს მიიწვენ, მსოფლიოში მისი პიკი - 14 ტონაა და ეს არაა პატარა რიცხვი, თუმცა, არც საკმარისაა და მიწნული. არსებობს ინფორმაცია, რომ აშშ-ში, ორფერის შტატში სულეციაზე მომუშავე ფერმერებისთვის ცნობილი მილიარდერების: ბილ გეისის და დევიდ როკველერის ფონდებმა 100 მილიონი დოლარი გამოიყვეს, რომ ამ მხრივ მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდეს და საშუალოდ მოსავლიანობა უახლოეს პერიოდში გაორმაგდეს. ე.ი. მაჩვენებლებმა 1 შექტარზე 28 ტონას მიაღწიოს. ეს გეგმა ბერის წარმოუდგენლად შეიძლება მოეწყონ, მაგრამ როგორც ექსპერტები იუწყებიან - ამის წინაპირობა უკვე რეალურად არსებობს. გეგმატური თავთავები უკვე შექმნილია და ახლა მთავარი აქცენტები თავთავის ისეთი ღეროს შექმნაზე აქვთ გადატანილი, რომელიც მათ დაჭერას შეძლებენ. მათი ვარაუდით - სამუშაოები დაახლოებით 10 წელიწადში დასრულდება.

მარცვლეულის წარმოების საქმე ჩვენთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ტრადიციულად ჩვენს კვების რაციონში პურეულის ძალზე დიდი ადგილი უკავია. არსებული სტატისტიკით საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 135 კგ ხორბლის მოხმარება მოდის, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელია. ეს მაშინ როცა ქვეყნის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, განსაკუთრებით - დასავლეთ საქართველო ძირითადად სიმინდს მოიყვანს და მოიხმარს, რაც საშუალოდ მოხმარებული მარცვლეულის 30-35% შეადგენს.

არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ სასურსათო მოხმარებისთვის ყოველწლიურად 800 ათასი ტონა ხორბლის მარცვლი ესაჭიროება. სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში წარმოებული ხორბლის მარცვლი ადგილობრივ მოთხოვნის მხოლოდ 10-12% აკმაყოფილებს. დანარჩენი უცხოეთიდან შემოდის და არც თუ იშვიათად ერთობ საეჭვო ხარისხისაა. ამაზე ბევრჯერ თქმულა და დანერგა, თუმცა მდგომარეობა ძირითადად იგივე რჩება, რადგან ბიზნესი მოგებაზე ორიენტირებული და მარცვლეულის შემომტან- გამამუშავებლებს ორიენტირებული, ხარისხიანთან ერთად ფასებზეც აქვთ გაკეთებული. საყურადღებოა, რომ არასრული სტატისტიკით საქართველოში 300

ათას ტონამდე საფურაჟე ხორბალსაც მოიხმარებს. რას საერთო ჯამში მოხმარებული მარცვლეულის ბალანს ერთობ საცალოდ ხდის.

საქართველოში და აჭარაშიც, მარცვლეულის ბალანსი ერთობ მაღალია სიმინდის მოხმარება. ჩვენში ძირითადად ეს კულტურა ითესება, ბოლო ორი წელი სიმინდის ნათესები თანდათან უახლოვდება 20 წლის წინანდელ ნიშნულს. ჩვენს ფერმერებს სულ უფრო მეტი მოსავალი მოჰყავთ და ეს პირველ რიგში სოფლებზე, ბაზარზე არსებულ ფასებზე და მეცხოველეობა-მეფრინველეობის ზრდის დინამიკაზე აისახა. არა და კარგად გვახსოვს ის დროც, როცა სიმინდის ფქვილის ფასმა შაქრის ფასს საგრძობლად გადააჭარბა, რაც ნამდვილი პარადოქსი და ცივილიზებული სამყაროსთვის ძალზე ძნელად აღსაქმელი მოვლენა გახლდათ.

სიმინდზე საუბარს იმით დაგვიწყებ, რომ ეს კულტურა საქართველოში დაახლოებით 350 წლის წინ შემოვიდა და საუკუნეების მანძილზე ქართველმა გლეხებმა ის „გააქართულა“. ქვეყანას ძნელადობის ჯამი არაერთხელ ედგა და ჩვენებურებსაც ძირითადად სიმინდით გაჭირვდათ თავი, განსაკუთრებით ეს დასავლეთ საქართველოში ხდებოდა, სადაც მჭადი ყოველდღიური საკვები იყო. ქართული სიმინდის აღზვევები და სასელექციო მუშაობა გასულ საუკუნეში დაიწყო და შეიცვალა კიდევ საუკუნეთა ქართული სიმინდის ჯიშები: „წეროვანი“, „მცხეთა“, „ქართლი 9“, „ალაზანი“, „აჯამეთი“ და სხვა. დღეს ძალზე პოპულარული და გარცვეულია „ლომთავრა“- 12,3,4 და 5 საფურაჟე და სასურსათო ყვითელი და თეთრი სიმინდის ჯიშები.

ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩვენში უმეტესად გაურკვეველი წარმოშობის სიმინდის ჰიბრიდი შემოიტანეს და ხშირ შემთხვევაში სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ, რადგან იგი უცხოურია და მაღალგანვითარებული ქვეყანაში შექმნილი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი კარგია, ან ჩვენსაზე უკეთესი, ჩვენი მეცნიერ-სელექციონერები არ მალავენ, რომ ჩვენებური სიმინდის თესლი მოსავლიანობით, გამძლეობით, პროდუქციის ხარისხით თუ სხვა მაჩვენებლებით არაფრით არ ჩამოუვარდება რომელიმე უცხოურ ანალოგს.

დაბოლოს, მთელს მსოფლიოში მოხლოდ ქართველები ვართ, ვისაც ქართული სიმინდის წარმოების და მოხმარების დიდი ისტორია გვაქვს, თეთრი სიმინდს სასურსათოდ ვიყენებთ, მისგან მჭადსაც ვამზადებთ, ღომსაც და ელარჯსაც, სიმინდის საკვებად გამოყენების ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციები სხვაგან არსადაა და ჩვენ სხვა დანარჩენი სამყაროგან ამითაც გამოვიჩნევით.

ნუგზარ კორდანი

სიმინდი ჰერსპეტიკული ქელსუნაა

სიმინდი საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. მისი სამშობლოდ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა ითვლება. საქართველოში პირველად XVII საუკუნეში შემოიტანეს, თუმცა მისი წარმოშობის ისტორია დღემდე უცნობია და აღმოჩენილი არ არის მისი ველური წინაპარი. როგორც ჩანს ის ხანძლიერი კულტურისა და ადამიანის აქტიური შემოქმედების შედეგია. სიმინდს, თანამედროვე სახით არ შეეძლო ველურ პირობებში გავრცელება, რადგან მისი მარცვლები ფუჭიშხა მჭიდროდ მოთავსებული და მოკლებულია თვითნათესის უნარს. სიმინდის ველური წინაპარი უნდა ყოფილიყო შიშველ მარცვლიანი, სხვადასხვად ფუჭიშხიანი სიმინდი ადამიანის დაუხმარებლად დაიღუპებოდა.

მსოფლიოში სიმინდის ფართობს მეორე ადგილი უკავია ხორბლის შემდეგ მესამე ბრინჯია. საქართველოში მისი ფართობი 200 000 ჰა-ს შეადგენს. იგი მაღალპროდუქტიულია, მის მარცვალში 65-70% ნახშირწყლებია, 11-14% ნედლი პროტეინი, 4-6% ცხიმი და 9-12% ცილა. სიმინდისგან ამზადებენ სიმინდის ფქვილს, ღერძილს, სიმინდის ფანტელს, კონსერვებს, ბადაგს, შაქარს, ზეთს და სხვა. სიმინდისგან შეიძლება მივიღოთ 100-ზე მეტი სახეობის პროდუქტი.

სიმინდი იძლევა დიდ მოსავალს და მაღალყოთან საკვებს. 100 კგ სიმინდის მარცვლი შეიცავს 134 საკვებ ერთეულს, ხოლო 100 კგ სილოსი 40 საკვებ ერთეულს. სიმინდს თესავენ სამარცვლად, სასილოსად მწვანე საკვებად, თესავენ როგორც ცალკე მონოკულტურად, ისე ლობიოს, სოიას, გორგას და სხვა კულტურებთან შეთესვით. მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა აგროტექნოლოგიური ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება. იგი კარგად ვითარდება თხნარ და მსუბუქ ნიადაგებზე, ცუდად - ძლიერ მჟავე, ბიცობ, მლაშე, მძიმე თხნარ და ჭარბტენიან ნიადაგებზე.

დასასრული მე-4 გვერდზე

საქართველო მარცვლეულის ერთ-ერთი საშობლო!

ფაქტობრივად, ჩვენი ისტორიის ბურთითა და ღვინით იწყება. ხორბალი საქართველოს უძველესი კულტურაა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-VI-ე ათასწლეულში მოჰყავდათ. ამას ადასტურებს ხალხური სელექციით გამოყვანილი მრავალი ჯიში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შეიქმნა და საუკუნეების მანძილზე მოჰყავდათ.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული ხორბლის 27 კულტურული და ველური სახეობაა აღწერილი. აქედან 14 სახეობა საქართველოშია აღმოჩენილი, მათ შორის 5 სახეობა ენდემურია. ისტორიულად საქართველოში ხორბალი თითქმის ყველა მხარეში ითესებოდა და ნათესი ფართობი ხშირად 150 ათას ჰა-ს აღემატებოდა, საშუალო მოსავლიანობა შექტარზე 2,5 ტონას შეადგენდა. ყველაზე მეტი ხორბალი შირაქის ველზე ითესებოდა, იგი იყო საქართველოს მთავარი ბეღელი. 90-იანი წლებიდან კი ხორბლის ნათესები შემცირდა, ხოლო საშუალოდ მოსავლიანობა თითქმის განახევრდა და 1,5 ტონას არ აღემატებოდა, რაც სამწუხაროდ, მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ამდენად, ჩვენი ქვეყნის მთავარ ამოცანას მარცვლეულის მოსავლის გაზრდა წარმოადგენს. ეს ამოცანა ფართობის ერთეულზე მოსავლიანობის ამაღლების გზით უნდა გადაიჭრას, რაც შესაბამისი აგროტექნოლოგიური და სტაბილური მოსავლიანი ჯიშების თესვა-მოყვანით სრულიად შესაძლებელია. ჩვენი რეგიონის მთავარი მარცვლეული კულტურა სიმინდია. ამიტომაც გვიწევს ამ კულტურის შესახებ ჩვენს ფერმერებს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივანოდოთ. დავიწყებ იმით, რომ სიმინდი სათესი ფართობებით მსოფლიოში კულტურულ მცენარეთა შორის მეორე ადგილს იკავებს ხორბლის შემდეგ. სიმინდის დიდი ფართობებია არგენტინაში,



ბრინჯი



ლომი

ამერიკაში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში, ბულგარეთში, ჩინეთში და მექსიკაში. საქართველოში სიმინდის ნათესი ფართობი 20 მილიონ ჰა-ს აჭარბებს.

აგროტექნიკის სწორად დაცვის შემთხვევაში სიმინდი მარცვლის მაღალ მოსავალს იძლევა, თანამედროვე სარწყავ ფართობზე შესაძლებელია 15 ტონა მარცვლის მიღება. მწვანე სასილოსად მასის რაოდენობა კი 50-70 ტონის ფარგლებშია.

სიმინდი პირველად ევროპაში ამერიკიდან ქრისტეფორე კოლუმბმა ჩამოიტანა. როცა ევროპაში მისი პირველი ნათესები გაჩნდა ხალხმა მას ინდურ ხორბალი შეარქვა.

ისტორიულად საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთში გავრცელებული იყო ლომი და ბრინჯი. ჩვენში ლომისა და ბრინჯის მოყვანის დიდი ტრადიციული კულტურა იყო. ჩაქვი ქართული ლომის ერთ-ერთ საშობლოდ ითვლება. აქსურის ჯიში „ჩაქურა“-ს ძირითადი და ნამყვანი ჯიში იყო და იგი მთელ გურია-სამეგრელოში იყო გავრცე-

ლებული. დღესაც, შეხედვით აქაიქ შემორჩენილ ქვისგან დამზადებულ ლომისა და ბრინჯის საცხე მონუმენტებს - „ჩამურს“, რომელიც ფეხით ან წყლით მუშაობდა. სწორედ ლომის მარცვლებიდან მზადდებოდა ლომი და ელარჯი, რაც შემდგომ იოლად მოსაყვანმა და უხეშოსავლიანმა კულტურამ სიმინდმა ჩაანაცვლა.

რაც შეეხება ბრინჯის კულტურას იგი ჩვენს რეგიონში, განსაკუთრებით ქობულეთისა და ბათუმის დაჭაობებულ დაბლობებზე, მდინარეების პირას საკმაო რაოდენობით მოჰყავდათ. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობს, ბათუმის შემოგარენში ამჟამად ენ. ჭაობის დასახლებაში მხოლოდ საბრინჯე ნაკვეთები იყო გაშენებული, რომელიც ჭოროხისა და ყოროხის წყლის არხებით ტენიანდებოდა. იყო დასახლებული პუნქტების დატბორვის შემთხვევებიც, რომლის დროსაც ინამლებოდა სასმელი წყალი და ეს სხვადასხვა ეპიდემიების გავრცელებას უწყობდა ხელს. ახალმა რუსულმა ადმინისტრაციამ აკრძალა ბრინჯის მოყვანა და მოსახლეობაში შემოტანილი ბრინჯის დარიცხვა დაიწყო. თუმცა ქობულეთის ზონაში ბრინჯი 40-იან წლებამდე მოჰყავდათ და იმის დროს, მან სიმინდთან ერთად ქვეყანაში შემოიღეს იხსნა.

ბრინჯი ერთ-ერთ პოპულარულ კულტურად ითვლება. მისი ისტორია შორეულ წარსულში იწყება და 5 ათას წელზე მეტს ითვის. მისი სამშობლო აზიაა. მწვანე მარცვლისპირეთსა და კავკასიაში ბრინჯის განსაკუთრებული პოპულარობა არაბული კულტურის გავლენამ განაპირობა. საერთოდ ბრინჯის 1000-ზე მეტი სახეობაა ცნობილი, აქედან ნახევარი დღესაც გამოიყენება. ზოგიერთი ისტორიული წყარო ამტკიცებს, რომ ბრინჯი საქართველოში სპარსეთიდან გავრცელდა. ჯერ ივრისა და ალანის პირას დაიწყო მოყვანა, მერე კი აჭარა-გურისა და სამეგრელოში ამჟამად საქართველოში ბრინჯი აღარავის მოჰყავს, გარდა ერთი ანაბული ფერმერისა, რომელმაც შარშან 210 ტონამდე უმაღლესი ხარისხის ბრინჯი მოიყვანა. წელს აპირებდნენ მის სათესლედ გამოყენებასაც და ვიმდოვნებთ რომ ამ ფერმერს მიმდევრებიც გამოიყენებენ. განსხვავებენ ბრინჯის სამ ტიპს: გრძელ, საშუალო და მოკვალს. მათ ქართულ სამხარეულში ფართოდ იყენებენ სხვადასხვა კერძების დასამზადებლად და ის ერთობ პოპულარულიცაა.

ნუგზარ კორდანი

სიმინდი პანსეპტიული კულტურაა



დასახური, დასაწყისი მე-3 გვერდზე

მოხვამდე აუცილებელია ფართობის განმეორება და სიმინდის ღეროვანი და სხვა ნარჩენებისგან, რომელიც არის მავნებელ დაავადებათა (სიმინდის ფარვანა, მდელიოს ხვატარი, გუდაფუშოკა, მდელიოს ფარვანა და სხვა) გაფრცხვების კერა. ნიადაგი უნდა დამუშავდეს 22-25 სმ სიღრმეზე, ხოლო თესვის წინ უნდა გაფხვიერდეს კულტივატორით და ჩაითესოს თესლი 5-6 სმ სიღრმეზე და თანმიყოლებით დაიფაროს. თესვის წინა დამუშავებისას შეაქვთ მიწის ნერალური სასუქები ნორმით ფოსფორი 90კგ/ჰა-ზე, კალიუმი 60-70 კგ/ჰა, აზოტი 100 კგ/ჰა ორჯერადი შეტანით, ძალიან კარგია ორგანული ნივთიერების შეტანა 30-40 ტ რაოდენობით.

სიმინდი ითესება, როცა ნიადაგის ტემპერატურა 10-11 °C-ს მიაღწევს, მწკრივად ან კვადრატულად ღობრივად (70-70 სმ). ნათესების მოვლა გულსხმობის აღმოსაწყობის გამოხარშვას (3-4 ფოთლის ფაზაში), ორჯერ გათოხვანას და კულტივაციას, სასურველია ჰერბიციდების გამოყენება. დასაწყისი საქართველოში ჭარბტენიან ნიადაგში მეორე თოხნის დროს მიღებულია მინის შემოყრა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ზედმეტი ტენის აორთქლება, ამასთანავე მცენარე ადვილად ანეითარებს საჭირო ფესვებს, რათა მეტი სიმტკიცე მიეცეს მის ღეროვან, შედარებით მშრალ ადგილებში, სადაც ტენის დეფიციტია მინის შემოყრა მიზანშეწონილი არ არის.

მორწყვა საგრძობლად ზრდის სიმინდის მოსავალს (10-15 ტ/მდე), სარწყავ პირობებში აგროტექნიკური თავისებურება ის არის, რომ უნდა შევიტანოთ სასუქების მეტი დოზები, მცენარეთა სიხშირე მეტი შეიძლება და სარეველებთან ბრძოლა უფრო გულმოდგინედ შესრულდება. თესვის ვადა აჭარის პირობებში არის 10 აპრილიდან 20 მაისამდე, თესვის ნორმა 35-40 კგ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათესლ მასალის შერჩევას, რომლის გათვალისწინებით არაერთი პროგრამა ჩაეარება, მაგალითად 2011 წელს ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის თესლით საქართველოში 30 000 ჰა-მდე ფართობი დაითესა, რადგანაც წინასწარ არ იყო შესწავლილი და გათვალისწინებული ადგილობრივი კლიმატურ-ნივთიერების პირობებში 20 000 მდე ფერმერებმა ზარალი განიცადა, აღმოსავლეთ საქართველოში ზარალი ძირითადად გამოწვეული იყო ტენის დეფიციტით, ხოლო დასავლეთში ზედმეტი ტენის გამო თესლის დიდი ნაწილი ჩაღა, ვინაიდან არ იყო გამართული სადრენაჟო სისტემა. თვითონ ჰიბრიდული სიმინდი მაღალმოსავლიანია, კარგად ვითარდება ნოტიო კლიმატურ პირობებში, მაგრამ მისი გამოყენება სიფრთხილით უნდა მოვეციოდოთ, ვინაიდან მისგან მიღებული მოსავალი, მომავალ წელს სათესლად არ გამოადგება, ხოლო თესლს გააჩნია მაღალი ფასი, რადგანაც სიმინდი 1 ბონიანი მცენარეა, მამრობითი და მდედრობითი ყვავილები სხვადასხვა ყვავილებშია და მისი დამტკიცება ხდება ქარის საშუალებით, შესაბამისად გამოიწვიოს ადგილობრივი ვიშნების გადაცემა.

ადგილობრივი პირობებისათვის უკეთესია სათესლ მასალად გამოვიყენოთ უნიკალური ქართული ვიშნები, როგორცაა: აჯამეთის თეთრი, აჯამეთის ყვითელი, გვეთის თეთრი, აბაშის ყვითელი, რომლებიც 608 ტ მოსავალს იძლევა მორწყვის პირობებში უფრო მეტს, მწვანე მასას 50-60 ტ-ს, ასევე შეიძლება ქართული სელექციონერების მიერ გამოყვანილი ვიშნები. მაგრამ მთავარია, რომ სათესლ მასალა გამოყვანილი იქნეს სათესლ საწარმოებში და შესაბამისად ვიშნის სტანდარტს.

ჰიბრიდული სიმინდის სათესლად გამოყენების შემთხვევაში კარგია სპეციალიზირებული ფორმა „ლომთაგორის“ მიერ გამოყვანილი ვიშნების: ლომთაგორა 1, 2, 3, 4, 5-ის სახელწოდებით. თითოეული ვიშნი განკუთვნილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონისთვის, რომლებიც დაფასებულია 20 კგ ტომარებში, დამუშავებულია ფუნგიციდით და მიკროელემენტებით, საჭიროების შემთხვევაში დამუშავდება ნიადაგის მავნებლებისა და მხარას სანინანდემდეგო პესტიციდებით.

ოთარ ქობალია, ნუგზარ ოქრობერიძე

კონსერვის ძილაში შესაძლოა, მერაბი გაქტივია იჯდეს

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით საკვებთან დაკავშირებული ბოტულიზმის მაჩვენებელი საქართველოს მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია. WHO-ანგარიშებში ბოტულიზმის ტიპისები ყველაზე საშიშ და სიკვდილის გამოწვევ ტოქსიკურ ნივთიერებად არის წარმოდგენილი.

ზოგადად, ბოტულიზმის ბაქტერიები ნიადაგში არსებობს, რომელიც იქ საქონლის ან ფრინველის განავლის სახით ხვდება. ნიადაგში არსებული ბაქტერიები სიცოცხლეს დიდხანს ინარჩუნებენ, შენახვისას ამ ბაქტერიებით ხელის, ბოსტნეულის ან წყლის დაბინძურების რისკები არსებობს. ადამიანის ორგანიზმში ბოტულიზმის მოხდენა ბოტულიზმით დაავადებას იწვევს.

როდესაც საკვები პროდუქტი უუყვანგადლო (ანაერობული) პირობებში ინახება, ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიები მრავლდებიან და იქცევიან შხამის გამოყოფას. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ საშიშია პირობებში დამზადებული კონსერვები, რომლებიც უუყვანგადლო პირობებშია, ყველაზე დიდი რისკების შემცველია, თუმცა შეესაძლოა ძველები ან შებოლილი თევზიც გახდეს ამ საშიში დაავადების გამომწვევი მიზეზი, თუ ისინი დამუშავდება არასათანადო, ანტისანიტარულ პირობებში, დარღვეული იქნება ტექნოლოგიური რეჟიმის პირობები, პროდუქცია ფერმენტულად შეიფუთება და ბაქტერიებს უუყვანგადლო პირობებში გამრავლების საჭირო პირობები შექმნება.

პროფესიონალებმა და კარგად ინფორმირებულმა დასახლებებმა იციან, რომ ის ნედლეული, რომლისგანაც ბოსტნეულის კონსერვები მზადდება ბოტულიზმის სპორებით არც თუ იშვიათადაა დაბინძურებული. ბოსტნეულებში ხომ ხშირად იყენებენ ნაკვლის ნუნუსებს, ორგანული სასუქს, სარწყავად - ღელის ან საკმოდ დაბინძურებული არხის წყალს და ა.შ. ამიტომ ბაქტერიების მოხდენა ნედლეულის მასაში არაა გამორიცხული და თავად კონსერვის მომზადებისას მისი მალატივიზებული დამუშავება, ნაშობდება თუ მოთუვა 30 წუთით თუ ოდნავ მეტი დროით (უფრო მეტ ხანს დამუშავება თავად პროდუქტს გადახარშავს და სასაქონლო სახეს უკარგავს, ამიტომ როგორც წესი ეს პროცესი 20-30 წუთი გრძელდება) სპორების გასანივრებად აბსოლუტურად არსაკმარისია. ბოტულიზმის სპორები დუღულის ტემპერატურას 5-6 საათის განმავლობაში უძლებენ. ამიტომაცაა, ქარხნული წესით დამზადებული კონსერვი უსაფრთხო - იქ სტერილიზაციის პროცესი ავტომატურად ხდება გადახურებული ორთქლითა და ავტოკლავში მაღალი წნევის შექმნით. ამ დროს კი ბოტულიზმის ბაქტერიები ძალზე მოკლე დროში იღუპებიან. დაუზრუნდეთ, ოჯახში დამზადებული კონსერვები - ქილებების შერეული დახურვის შემდეგ ცოცხლად დარჩენილი სპორები გადადიან ვეგეტატიურ ფორმაში და იწყებენ შხამის-ტოქსინის გამომუშავებას. ასეთი პროდუქციის საკვებად მიღება ადამიანისთვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს.

რაც შეეხება მურაბებსა და კომპოტებს, რომლებიც საშიშია პირობებში მზადდება, აქ ბოტულიზმის რისკები შედარებით ნაკლებია. აქ როცა ხილი დიდი დროის განმავლობაში შაქარში იხარშება, თანაც სიროფის ტემპერატურა 100°C-ზე გაცილებით მაღალია, პროდუქტი ხშირ შემთხვევაში



ში სტაბილური ხდება. აქ ისიც საგულისხმოა, რომ ხილი, ბოსტნეულისგან განსხვავებით მინიდან უფრო მაღალზე ვითარდება და ბაქტერიის მინიდან მასზე მოხვედრის ალბათობა დაბალია.

ცნობისთვის: „ბოტულიზმი“ - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ძევის დაავადებას“. იგი ერთ-ერთ უმძიმეს ინფექციურ დაავადებად ითვლება და 40%-მდე სიკვდილიანობით ხასიათდება. ისიც საინტერესოა, რომ ეს ბაქტერია იმდენად საშიში და მომავლდინებულია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში იგი პერსპექტივაში როგორც ბიოლოგიური იარაღი - ისე განიხილებოდა. მისი ტოქსინი აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. კუჭ-ნაწლავში შენთვის შემდეგ იგი გადადის მთელს ორგანიზმში, არღვევს ნერვული უჯრედების ფუნქციონირებას, განსაკუთრებით კი იმას, რომლებიც იმპულსების გატარებაზე არიან პასუხისმგებელი, პირველ რიგში ზიანდებიან თვალის, ხახის, საყლაპავი მილისა და სასუნთქი ორგანოების კუნთოვანი ქსოვილები, შემდეგ კი ხდება მათი დამბლა და დეგრადაციური შედეგია.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბოტულიზმის სპორის შემცველი დაკონსერვებული საკვები ვიზუალურად, სუნით ან გემოთი აბსოლუტურად არ განსხვავდება ჯანსაღი პროდუქტისგან. ერთადერთი ნიშანი და ინგანალი შეიძლება იყოს ქილის ამოზნევილი მეტალის თავსახური. ენ „ბომბაჟი“ რომელიც თითის დაჭერით თამაშობს (იზნიქება და უმალ სწორდება). თუმცა ბოლო დროს სულ უფრო ხშირად შემოდის სქელი ენ. ხრახნიანი ხუფები, რომლებზედაც ამ ნიშნის შემწევა შეუძლებელია.

თავად ქილაში სპორები ბუდედება იყრიან თავს და ამის გამო რამოდენიმე ადამიანის მიერ ასეთი კონსერვის ერთდროულად მიღების შემთხვევაში შეიძლება ყველა არც კი დაავადდეს.

დაავადების სიმპტომები საკვების მიღებიდან რამდენიმე საათის ან 5-7 დღის შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს. თავდაპირველად ადამიანს ეწყება თავის ტკივილი, პირის სიმშრალე, საერთო სისუსტე, უმნიშვნელო იმპეტუს სხეულის ტემპერატურა, მოგვიანებით ვითარდება მხედველობის დაჭვეთება, გაორება და სიეღმე. უმწველდება ყლაპვა და სუნთქვა, შემდეგ კი კუნთების დამბლა და სიკვდილი. ამ ყველაფრის მერე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა: თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი ბოტულიზმისგან? **საამისოდ ყველა უნდა იცოდეს:** ***** არ არის რეკომენდებული ხორცის, თევზის და სოკოს კონსერვების საოჯახო პირობებში დამზადება.**

***** შედმინებით უზუსტად დავიცვათ ბოსტნეულის დამზადების დრადიციული წესი, მარლის, შატრის და ძმრის კონსერვაცია არ უნდა იყოს დაბალი. დაკონსერვების წინ ნედლეული ძალიან კარგად უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით, აბსოლუტურად უნდა მოშორდეს მას მიწის და მტვრის ნაწილაკები. ასევე, კარგად უნდა გაირეცხოს და გასტერილდეს კონსერვებისათვის გამოსაყენებელი ქილები და ხუფები.**

***** იმ ბოსტნეულის დაკონსერვებისას, რომლებიც ნაკლები მთავიანობით ხასიათდება (წიორი, წინაკა, დანდური, ბადრიჯანი, პარკონები და სხვა) უნდა დაემატოს ლიმონის, ან ძმრის მჟავა, რეცეპტის მიხედვით.**

***** საკვებად გამოყენების წინ კარგად დააკვირდით კონსერვის ქილას, თუ მისი ხუფი ოდნავ ამოპერილია და თითის ოდნავი დაწოლით ვიპრირება - იგი ენ „ბომბაჟია“ და საკვებად მისი გამოყენება საშიშია.**

***** თუ კონსერვის ქილა ნორმალურად გამოიყურება, რეკომენდებულია მის გამოყენებამდე, თუ ამის საშუალებას კონსერვის სპეციფიკა იძლევა - 15-20 წუთის განმავლობაში მისი დუღილი. ამ დროს სპორა თუ არსებობს იგი არ დაილუპება, მაგრამ ტოქსინი მოასწრებს და შლას და საფრთხესაც ავიცილებთ.**

***** აუცილებელია, რომ კონსერვები ბნელ და ცივ ადგილას ინახებოდეს. სიბნელი მინის ქილაში დამზადებული კონსერვებისთვისაა აუცილებელი. *** საერთოდ, თუ ამის საშუალებაა მოუწოდეთ კულტურული წესით დამზადებული კონსერვების საკვებად გამოყენებას, ასევე კულტურულად შებოლილ გამოყვანილ და დამარილებულ თევზს ან თუ რეალურად ავიცილებთ მოსალოდნელ საფრთხეებს.**

***** ზაფხულობით, როცა ლუღის მომხარება იზრდება იზრდება მოთხოვნა შებოლილ თევზზეც, თუ იყიდით ქუჩაში ან ბაზრებზე გამოტანილ კულტურული წესით, სპეციალური შესაბოლი ხსნარით დამუშავებულ და დამარილებულ თევზს.**

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბრძენი წინაპრები გვყავდა და სწორედ მათ შექმნეს ზამთრისა და გაზაფხულისთვის ბოსტნეულის მწხლად შენახვის უნიკალური ტექნოლოგია. აი, კასრებში არა-შერმეტულ პირობებში ქართული წესით დამზადებული მწხლით ბოტულიზმი ჯერ არავის გაუგონია და ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ახალი სახელმძღვანელო ფერმაკოპისტის

უახლეს პერიოდში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აგროსერვის ცენტრის ხელშეწყობით, ფერმერთა დაფინანსებლად გამოცემის ეკონომიკურ ასპექტების სრულად ასახვას შეძლება. სწორედ ამ დანაკლისის შექმნის მცდელობას წარმოადგენს აღნიშნული სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო საშუალებას მისცემს ფერმერებს და სხვა დაინტერესებულ პირებს წარმოდგენა იქონიონ მემცენარეობის და მეცხოველე ცენტრების და მეცხოველეობის დარგების ტექნოლოგიური პროცესების ეფექტიანობის გაანგარიშებები მარჟინალური მოგებების მიხედვით. საქართველოში დღეისათვის მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაა ხელმისაწვდომი, თუმცა იშვიათად გვხვდება ისეთი ნაშრომი,

რომელიც ახლად ჩამოყალიბებულ საბაზრო პირობებში, სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკურ ასპექტების სრულად ასახვას შეძლება. სწორედ ამ დანაკლისის შექმნის მცდელობას წარმოადგენს აღნიშნული სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო საშუალებას მისცემს ფერმერებს და სხვა დაინტერესებულ პირებს წარმოდგენა იქონიონ მემცენარეობის და მეცხოველე ცენტრების და მეცხოველეობის დარგების ტექნოლოგიური პროცესების ეფექტიანობის გაანგარიშებები მარჟინალური მოგებების მიხედვით. საქართველოში დღეისათვის მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაა ხელმისაწვდომი, თუმცა იშვიათად გვხვდება ისეთი ნაშრომი,

ვის უფრო მისაღები და გამართლებული იქნება. ეკონომიკური გათვლების სიმარტივისთვის თვითოეულ დარგზე განგარიშები წარმოდგენილია ცხრილების სახით და დართული აქვს შესაბამისი ახსნა-განმარტებითი კომენტარები. ვფიქრობთ, რომ სახელმძღვანელო აგრესექტორში დასაქმებულ ადამიანებს, პირველ რიგში ფერმერებს დაეხმარება იმაში, რომ არსებულ პირობებში, არსებული რესურსებით, ოპტიმალური დანახარჯებით - მაქსიმალურ შედეგებზე გასვლა შეძლონ.

ნ. ოქრობერიძე
ო. ქობალია
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები

მათხველის ახალი ჩვენი
უთავიანია!
მოგვანათ, მოგვანათ
თქვენთვის სანიტარულ თიხაში
და წინადადებაში აქამოთ
მითითებულ მისამართზე:
საპარტეზო, გათუში (6010)
გოგაბაშვილის 46ა
ქ. ფოსტა:
agroservice.center@yahoo.com
ტელ.: 593100829

WWW.AGROSC.GE
რედაქტორი
ნუგზარ ქორდანი

გაზეთი გამოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის "ENPARD Ajara - სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში"

გაზეთი გამოდის მონსტრატორისა და აგროსერვის ცენტრის დასახლებულ ადგილზე
და არ გამოცემის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერის

გაზეთი აიწყო, დაკამაფონდა
და დაიბეჭდა შპს „ბესტკომპანი ჯორჯიას“ მიერ
ელ. ფოსტა: BESTCOMPANY_Z@YAHOO.COM